ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 757

საქონლის სახელმწიფო შესყიდვა

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** (შემდგომში „შემსყიდველი''), წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტრის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის **შალვა ბულაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **სს "გუდვილი"**(შემდგომში „მიმწოდებელი''), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **გიორგი ხაბაშვილის** სახით, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მხარეები" – წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემსყიდველი და მიმწოდებელი.

1.7 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.8 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (საქონლის დასახელება, მიწოდების პირობები და ფასები) განსაზღვრული სხვადასხვა სასურსათო ქონების (შემდგომში - „საქონელი") შესყიდვა (CPV 15800000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 499,82 (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაორი თეთრი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), მოსაკრებელსა და სახდელს.

3.2 საქონლის ერთეულის ფასი, მიწოდების ვადები, რაოდენობა და მახასიათებლები განისაზღვრება დანართი №1-ით.

3.3. მიმწოდებელმა უარი უნდა თქვას იმ კონკრეტული შეკვეთის შესრულებაზე, რომლის ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას და შეუსრულებლად უბრუნებს შემსყიდველს კანონით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორება

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.3. დაფინანსების წყარო: 2018 წლის თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებები (29.09.02)

4.4. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

5.1.1. **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის მეოთხე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი** – შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, შესრულების ადგილის, მიღება-ჩაბარებისა და საქონლის, რაოდენობის (მოცულობის) ხარისხის და საგარანტიო მომსახურების პირობების კონტროლის საკითხებზე;

5.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

5..2.1 ხელშეკრულების ან/და შეკვეთის პირობებთან მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

5.2.2. საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

5.3 კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

5.4 კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. მიმწოდებელი ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2018 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით საკუთარი ხარჯებით 5.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

6.2. შეკვეთის მიცემას, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობას, მიწოდების ადგილს და დროს განსაზღვრავენ 5.1.1. პუნქტში მითითებული პირები.

6.3. შემსყიდველის (5.1.1. პუნქტში მითითებული პირების) მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, საქონლის მიწოდებისა და მიღების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქმნება (შესაბამისად ამ შემთხვევაში არ წარმოიქმნება შემსყიდველის მხრიდან არც საქონლის ღირებულების გადახდის ვალდებულება).

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის ან ყოველი მისი ნაწილის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

7. ხარისხი

საქონლის ან ყოველი მისი პარტიის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მიმწოდებლის მიერ საქონლისს გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 5.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.

8.3. საქონლის ფაქტობრივად გადაცემა (გარდა 8.1 და 8.2 პუნქტებისა) არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

8.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

8.4.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და

8.4.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და

8.4.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და

8.4.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და

8.4.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მათი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

8.6. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8.7. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი.

9. უფლებების გადაცემა

დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.5. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 თუ მიმწოდებელი საკუთარი ბრალეულობით დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, ხოლო ამით შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

12.3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

12.3.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

14.2 „ფორს-მაჟორის" ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

14.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

14.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

14.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადავო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

15.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს საქართველოში.

16. შეტყობინება

16.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერი დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20
ტელ: (+995 032) 2 54 35 35; (+995 032) 2 72 35 35

საიდენტ/კოდი: 204900483

სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22

მიმღების ანგარიში 200122900

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსი:

შ. ბულაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

სს "გუდვილი"

ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის N1
ს.კ. 206343991

ტელ: 577794647

სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
მიმღების ანგარიში GE61TB3615336020100004

გენერალური დირექტორი:

გ. ხაბაშვილი

ბ.ა

დანართი №1

საქონლის დასახელება, ერთეულის ფასი და რაოდენობა.

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	თანამდევი პირობები	ზ/ე	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	ჩურჩხელა	კაკლის ნიგოზისგან დამზადებული	საჩინო	ცალი	26	3,45	89,70	შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად	არაუგვიანეს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად
2	გოზინაყი	კაკლის ნიგოზისგან დამზადებული	წონა-0,820 კგ	ცალი	26	2,208	57,40		
3	გოჭი	გაუყინავი, შესაწვავი	დაფასოებული (6,375კგ)	ცალი	1		124,25		
4	ქათამი	გაუყინავი მოსახარში	კარალეთის ქათამი დაფასოებული (7,790კგ)	ცალი	6	10,19	61,14		
5	ხილი (ფორთოხალი მანდარინი)		ფორთოხალი იმპ. - 5,0540 კგ მანდარინი 5,0080 კგ	კგ	10	2,49	24,90		
6	შოკოლადი სხვადასხვა		ბარამბო-შოკოლადი „მხიარული ფერები“ ყავა 1 კგ -ცალი ბარამბო-შოკოლადი კამფეტი „მხიარული ისტორიები“ ბანანის - ცალი ბარამბო-შოკოლადი კამფეტი „მხიარული ისტორიები“ ნუში 1 კგ-ცალი	კგ	6	7,79	46,74		
7	სნიკერსი		SNICKERS შოკოლადი 50,5 გ (288)	ცალი	26	1,19	30,94		
8	ჩირი ხურმის		ჩიკორი - ხურმის ჩირი - 100 გრ (სულ 25 ცალი)	კგ	2,5	25,9	64,75		
						სულ:	499,82		

შემსყიდველი:

შ. ბულაშვილი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებელი:

გ. ხაბაშვილი
სს „გუდვილი“-ს
გენერალური დირექტორი